ნიანგის ყბა

ალბათ, არაერთხელ გინახავს ნიანგი ზოოპარკში ან ფილმში. გაიხსენე, რა იცი მის შესახებ.

ნიანგი დედამიწის ერთ-ერთი **საშიში** ბინადარია. ის ხშირად ნადირობს კუზე, თევზზე... თუმცა არც ანტილოპის მორევა უჭირს, არც – კამეჩის.

ნიანგს ძლიერი ყბები აქვს. მის ორივე ყბაზე 60 კბილია. ნადირობის დროს ნიანგი კბილებს მაგრად **ჩაასობს** ხოლმე მსხვერპლს. ამიტომ მისგან თავის **დაღწევა** ძალიან ძნელია. ნიანგის ყბა კიდევ ერთი რამით გამოირჩევა. ის ადამიანის თითის წვერზეც კი უფრო მგრძნობიარეა. საინტერესოა, რატომ?

ნიანგის ყბა შეისწავლა მკვლევარმა დუნკან ლიჩმა. მან უცნაური რამ აღმოაჩინა. თურმე ნიანგს ყბებზე ათასობით ნერვული დაბოლოება აქვს. ყოველი ნერვი თავის ქალადან გამოდის. ესე იგი, ისინი უკავშირდება ნიანგის ტვინს. სწორედ ამიტომ არის მისი ყბები ყველაზე მგრძნობიარე. იცი, როდის ჩანს ეს კარგად? როცა მდედრ ნიანგს პირით თავისი ნაშიერი გადაჰყავს ხოლმე. ამ დროს ნიანგი ძალიან ფრთხილია. პირით ისე იჭერს ნაშიერს, რომ არაფერი ავნოს. აი, ასეთი გონიერია ნიანგი. იცის, როდის და როგორ გამოიყენოს თავისი ყბის ძალა.

რა გაიგე ახალი ნიანგის შესახებ ამ ტექსტიდან?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ტექსტის პირველი აბზაციდან ვიგებთ, რომ:

ა) ნიანგი დედამიწაზე ერთ-ერთი საშიში ცხოველია.

ბ) ნიანგი მხოლოდ კუებსა და თევზებზე ნადირობს.

გ) ნიანგს უყვარს დიდ ცხოველებზე ნადირობა.

2 რატომ არის ნიანგისაგან თავის დაღწევა რთული?

ა) ის თავისი გონიერებით სჯობნის მსხვერპლს.

ბ) ის კბილებს მაგრად ასობს მსხვერპლს.

გ) მას ძალიან დიდი ყბები აქვს.

3 ნიანგს ყბებზე უამრავი ნერვული დაბოლოება აქვს, ამიტომ:

ა) მისი ყბები ძალიან მგრძნობიარეა.

ბ) მისი ყბები ძალინ საშიშია.

გ) მისი ყბები ძალიან ძლიერია.

4 როდის იჩენს ნიანგი დიდ სიფრთხილეს?

ა) როცა დიდ ნადავლს იჭერს.

ბ) როცა პირით ნაშიერს ატარებს.

გ) როცა კამეჩზე ნადირობს.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ნიანგი **საშიში** ცხოველია.

   ა) დიდი. ბ) სახიფათო. გ) ძლიერი.

2. ნიანგი კბილებს **ჩაასობს** ხოლმე მსხვერპლს.

   ა) მოუჭერს. ბ) შეახებს. გ) ჩაარჭობს.

3. მისგან თავის **დაღწევა** ძალიან ძნელია.

   ა) არიდება. ბ) დაცვა. გ) დახსნა.

4. ნიანგი ცდილობს არაფერი **ავნოს** ნაშიერს.

   ა) აწყენინოს. ბ) დაუშავოს. გ) მოაკლოს.

2 რომელი სიტყვაა განმარტებული?

ადამიანის თავის ჩონჩხი არის:

ა) კეფა. ბ) ქალა. გ) ძვალი.

3 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) მაგარი – ძლიერი. ბ) უცნაური – უჩვეულო. გ) ძლიერი – სუსტი.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე სწორი ფორმით ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა.

(მდედრი) ---------- ნიანგს ნაშიერი ფრთხილად გადაჰყავს.

2 დაასრულე სიტყვა.

ნიანგი ნადირობს თევზ... .

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

ნიანგს ნაშიერი ჰყავს. ის ---------- ნაშიერს უფრთხილდება. ***(თავის / მის)***

4 რომელია სწორი?

ა) ათასობით. ბ) მაგრათ. გ) ხშირათ.

გრამატიკა

4 **დაწერე მრავლობით რიცხვში.**

ნიმუში: თევზი – თევზები.

1. კუ – ..... . 2. ნერვი – ..... .

1. ყბა – ..... . 2. ნაშიერი – ....

წერა

1 **დაწერე მოკლე, შემაჯამებელი ტექსტი „ნიანგის ყბა“. ამისათვის გამოიყენე გააზრებისთვის დასმული კითხვები და შენი პასუხები.**

მაგალითად, დაიწყე ასე: *ტექსტის პირველი აბზაციდან ჩანს, რომ* ----------

---------- (წინადადება დაასრულე სწორი პასუხის მიხედვით).

---

2 **შენ მიერ წაკითხულის ან ნანახის მიხედვით დაწერე ტექსტი, თუ როგორ ზრუნავენ ცხოველები თავიანთ ნაშიერებზე. გააფორმე შენი ნამუშევარი ნახატით.**